წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ოქმი N 26

ქ. წალკა; 10.10.2023 წ.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

*ირაკლი გიგინეიშვილი*

***სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:***

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზვიად გელაძე, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის" თავმჯდომარე ასლან მგელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

**სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;**
**სხდომა დასრულდა: 11:20 საათზე;**

***დღის წესრიგი:***

1. წალკის მუნიციპალიტეტის მერის მომართვა დადგენილების პროექტზე „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

2. ადამიანის უფლებათა რეალიზებაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლის გაძლიერების სტრატეგია 2023-2025;

*სხდომამ განიხილა:*

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის მერის მომართვა დადგენილების პროექტზე „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ". რის შემდეგაც გააცნო აღნიშნული მომართვა. ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად დადგენილების პროექტი „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" მიჩნეულ იქნეს მომზადებულად და შეტანილ იქნეს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში;

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა რეალიზებაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლის გაძლიერების სტრატეგია 2023-2025. ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის თანახმად დაევალოთ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას, სოციალურ საკითხთა კომისიას, ფრაქციებს და გენდერული თანასწორობის საბჭოს განიხილონ ადამიანის უფლებათა რეალიზებაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლის გაძლიერების სტრატეგია 2023-2025 და არაუგვიანეს მ/წლის 24 ოქტომბრისა საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი შენიშვნები, დასკვნები და წინადადებები;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

*საკრებულოს თავმჯდომარე* *ი.გიგინეიშვილი*